პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# წითელ-არმიელი

ფასი 3 კაპ.

შაბათი, 15 მაისი 1926 წ.

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ევანგულოვის ქ. ელსმენი 2—24.

განცხადების ფასი პირველ გვერდ. 80 კ. სტრ. 4 გვ. 40 კ.

105 (1100) | 1 და 2 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | 105 (1100)

## მშრომელო ახალგაზრდობა! ერთსულოვნად, უკლებლივ გამოცხადდი ტერშეკრებაზე.

დღეს იწყება 1903 წელში დაბადებულ მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის გაწვევა მორიგ, ორნახევარ თვიან ტერშეკრებაზე. ამასთანავე ერთი თვით გაწვეული იქნებიან აგრეთვე 1902 წელში დაბადებული ახალგაზრდები, რომლებსაც სამხედრო მომზადება არ გაუვლიათ.

გასაწვევი ახალგაზრდობის მოვალეობას შეადგენს თავის დროზე და უკლებლივ გამოცხადდეს ტერშეკრებაზე. ამას მოითხოვს ჩვენი სოციალისტური ქვეყნის კეთილდღეობის ინტერესები. წინაამდეგ შემთხვევაში, თითეული წვეული, რომელიც გვერდს აუხვევს ამ ტერშეკრებას, მტერია მუშების და გლეხების საქმის და საბჭოთა ხელისუფლების.

ყოველმა გაწვეულმა ახალგაზრდამ მტკიცედ უნდა შეიგნოს ის გარემოება, რომ მორიგ ტერშეკრებას მხოლოდ მაშინ ჩავატარებთ ნაყოფიერად და წარმატებით, როცა თითეული მათგანი პირნათლად გამოცხადდება დანიშნულ ვადაზე თავის ნაწილში და ხალისიანად, ბეჯითად მოეკიდება სამხედრო სწავლებას.

წარსულ ტერშეკრების დროს მშრომელმა ახალგაზრდობამ საუცხოვოდ დაამტკიცა თავის ერთგულება მუშურ-გლეხური ხელისუფლებისადმი. ის იშვიათი ერთსულოვნობით გამოეშურა წითელ ყაზარმისაკენ სამხედრო მომზადების მისაღებად.

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ არა ნაკლები, არამედ უფრო მეტი აღფრთოვანებით და შეგნებით მოვა მშრომელი ახალგაზრდობა ამ მორიგ გაწვევაზე.

ტერშეკრების ვადა არც ისე დიდია. ორნახევარი თვე 1903 წლიანებისთვის, ხოლო ერთი თვე—1902 წელში დაბადებულთათვის.

ტერშეკრების სამოსწავლო პროგრამა კი საკმაოდ მოზრდილია. მხოლოდ ენერგიული, დაუღალავი შრომით შესძლებენ გაწვეული ახალგაზრდები მისი წარმატებით განვლას.

მტკიცე რევოლიუციონური დისციპლინა და თავდადებული სამხედრო-პოლიტიკური სწავლა—აი რა უნდა ახსოვდეს მუდამ და რას უნდა ანხორციელებდეს ტერშეკრებაზე მიმავალი ახალგაზრდობა.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ყოველივე ამას ჩვენი წითელი ჯარის ახალი ძალები შეურყევლად გაატარებენ ცხოვრებაში და მით კიდევ უფრო გაამაგრებენ ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვის საქმეს.

ახალწვეულებო, წითელი ყაზარმა მზად არის თქვენს მისაღებად!

მხნედ გაეშურეთ მისკენ!

პირნათლად მოიხადეთ თქვენი რევოლიუციონური ვალდებულება მუშურ-გლეხური ქვეყნის წინაშე.

## წითელი ფლოტის სამდღიური.

დღეიდან იწყება წითელი ფლოტის სამდღიური. ამ სამდღიურის ამოცანა არის წითელი ფლოტის მიღწევების აღნუსხვა და ნამუშევარისათვის ჯამის გაკეთება და მისი კავშირის კიდევ უფრო მეტი განმტკიცება მშრომელთა ფართე მასებთან და მთელ საბჭოთა სახელმწიფოსთან. წითელი ფლოტი—წითელი არმიის უმცროსი ძმაა. როგორც წითელი არმია ხმელეთზე, ისე წითელი ფლოტი ზღვაზე იცავს საბჭოთა კავშირის საზღვრებს და მტკიცედ დარაჯობს მუშების და გლეხების თავისუფლებას. მსოფლიო ბურჟუაზია დღითი დღე აძლიერებს თავის სამხედრო ძალებს როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაზე. ის აშენებს ახალ სამხედრო გემებს, რომელთა საბრძოლო უნარი მეტად მაღალია. ბურჟუაზიის სამხედრო ფლოტი ემსახურება მტაცებლურ მიზნებს. ცხადია, როცა კაპიტალისტური სახელმწიფოები აძლიერებენ თავის სამხედრო ძლიერებას, მათ პირველ ყოვლისა სახეში აქვთ საბჭოთა კავშირზე თავდასხმა.

ამიტომაც არის, რომ ჩვენ გვყავს წითელი არმია, წითელი ფლოტი და წითელი საჰაერო ფლოტი, რომელთა ამოცანას შეადგენს საბჭოთა კავშირის საზღვრების დაცვა იმპერიალისტების თავდასხმისაგან.

საბჭოთა შეიარაღებული ძალები ემსახურებიან მხოლოდ და მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარის დაცვისა და მშრომელთა განთავისუფლების საქმეს.

ამიტომაც როგორც წითელი არმიის, წითელი ფლოტის, ისე საბჭოთა ქვეყნისა და ყველა მუშების და გლეხების ამოცანას შეადგენს ყოველმხრივ იზრუნონ საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარის ამაღლებაზე.

ჩვენი წითელი ჯარი, წითელი ფლოტი და წითელი საჰაერო ფლოტი მუდამ მზად უნდა იყოს ღირსეული პასუხი გასცეს გათავხედებულ მტერს. კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით ჩვენ მცირე ჯარი და პატარა საზღვაო ფლოტი გვყავს.

მაგრამ სიმცირე სრულიად ხელს არ უშლის მათ ღირსეულად დაიცვან საბჭოთა ქვეყანა, ვინაიდან როგორც წითელი არმია, ისე წითელი ფლოტი უძლეველი და ძლიერია თავისი რევოლიუციონური შეგნებით, ერთგულებით და თავდადებით მშრომელი ხალხის საქმისადმი. წითელი ფლოტი ძლიერია თავისი მტკიცე კავშირით მუშებთან და გლეხებთან. მეტი ყურადღება წითელ ფლოტს, მეტი ზრუნვა მის საბრძოლო უნარის აწევაზე, მეტი კავშირი და მჭიდროთ დაახლოება მისი მშრომელთა მასების ფართე ფენებთან—აი სამდღიური ლოზუნგები, რომელიც სავსებით მთლიანად უნდა გავატაროთ ცხოვრებაში. ძლიერი წითელი ფლოტი საბჭოთა ქვეყნის მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომის საუკეთესო თავდებია.

ლეო.

# ახალი რადიო ამბები

## ინგლისის მუშათა გაფიცვა ფაქტიურად გრძელდება

### სამთა-მადნო მუშებს გარდა გაფიცვას განაგრძობენ მთელი რიგი სხვა დარგის მუშებიც

### მთელ ინგლისში გრძელდება საგანგებო წესები

### მწარმოებლები ცდილობენ ახალი ხელშეკრულების დადებას მუშებთან

## გაფიცვა ფაქტიურად გრძელდება

13 მაისს კავშირების ბევრ კომიტეტს არ გაუცია განკარგულება მუშაობის განახლების შესახებ. ამიტომ მბეჭდავების, რკინისგზელებისა და მტვირთავ მუშათა დიდი უმეტესობა ჯერ კიდევ არ დაბრუნებია მუშაობას.

ლონდონის ავტომობილებზე და მიწის ქვეშა რკინისგზებზე მუშაობას განაგრძობენ მოხალისეები.

## მეპატრონეები შეტევაზე გადადიან

### საგანგებო წესები გრძელდება.

ლონდონის ავტომობილებისა და ტრამვაების კომპანიებმა მოსთხოვეს მუშა-მოსამსახურეებს მოაწერონ ხელი ახალ ხელშეკრულებებს, რომლებიც ითვალისწინებენ სამუშაო ხელფასის დაკლებას, პროფკავშირებიდან გამოსვლას და დაპირებას, რომ მომავალში მონაწილეობას არ მიიღებენ გაფიცვებში.

მთელს ინგლისში გრძელდება საგანგებო წესები.

## სამთა-მადნო მუშების პასუხი მთავარ საბჭოს.

### შეთანხმებლებმა გადასწყვიტეს მუშების დაუკითხავად.

სამთა-მადნო მუშათა კავშირის აღმასკომმა შემდეგი პასუხი გაუგზავნა ინგლისის პროფკავშირთა მთავარ საბჭოს: „აღმასკომი უკმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ სამთამადნო მუშებს არ მისცეს საშუალება მონაწილეობა მიეღოთ მოლაპარაკების გეგმის შედგენაში. სამთა-მადნო მუშათა კავშირი უარყოფს წინადადების მიღებას და საყოველთაო გაფიცვების მოხსნაში მთელ პასუხისმგებლობას აკისრებს მთავარ საბჭოს".

ეს პასუხი გვიჩვენებს, რომ მთავარ საბჭოს არ ჰქონია მაღაროს მუშებთან თათბირი და განხეთქილება მთავარ საბჭოსა და მაღაროს მუშებს შორის მოხდა სამუშაო ხელფასის დაკლების საკითხის გარშემო.

## თემთა პალატაში

### მაკდონალდი ხმაურობს

თემთა პალატის სხდომაზე მუშათა პარტიის ბელადმა მაკდონალდმა განაცხადა:

„თუ რომ იქნება რაიმე ცდები პროფმოძრაობის დანგრევისა და, თუ რომ ზოგიერთი ფიქრობს, რომ შესაძლებელია პროფკავშირების განადგურებაო, ისინი სასტიკად სცდებიან". მაკდონალდმა მოუწოდა პალატას განუცხადოს მთელ ხალხს, რომ პარლამენტს არავისი დამცირება არ სურს, მისი მიზანია წინანდელ მდგომარეობის აღდგენა".

### უფრთხილდებიან შტრეიკბეხერებს

მთავრობის სახელით ბალდუინმა განაცხადა, რომ გაფიცვის დროს მიღებულ იქნა სამუშაოზე მოხალისეთა დიდი რაოდენობა" დაბრკოლება მდგომარეობს შემდეგში: „მთავრობის საზრუნავს შეადგენს ის, რათა ყველა გაფიცულების უკან მიღებით არ დაზარალდეს ის პირები, რომლებმაც მთავრობას დახმარება გაუწია გაფიცვების დროს". დასასრულ ბალდუინმა განაცხადა, რომ ის შეეცდება, რათა არ დაუშვას შეტევა პროფკავშირების წინაამდეგ, მაგრამ „მთავრობას არ აქვს უფლება აიძულოს ან უბრძანოს მეპატრონეებს".

## ტომასის სიტყვა.

ტომასმა განაცხადა, რომ მთავრობა არ ასრულებს თავის ვალდებულებას.

საზღვაო სამინისტრომ გასცა ბრძანება, არ მიიღონ უკან გაფიცულები, სანამ განკარგულება არ მოხდება.

სამხედრო სამინისტრო უპირატესობას აძლევს იმათ, ვისაც გაფიცულთა ადგილი ეჭირათ.

## გაფიცვა ახლდება

რკინისგზელთა ეროვნულ კავშირმა, მანქანების მექანიკოსთა და ცეცხლფარეშთა კავშირმა და რკინის გზის ანგარიშების მოსამსახურეთა კავშირმა ოფიციალურად დაადგინეს და ოფიციალურად გამოაცხადეს გაფიცვის განახლება.

## სამხედრო გადატრიალება პოლონეთში

### მთავრობა გადადგა

13 მაისს პოლონეთის ნაციონალისტები თავს დაესხნენ მარშალ პილსუდსკის ბინას. პილსუდსკიმ სასტიკად იძია შური ნაციონალისტებზე. დრაგუნთა პოლკებით მან გაილაშქრა ნაციონალისტების წინააღმდეგ. არიან დაჭრილები და მოკლულები ორივე მხრით. შემდეგ ოთხი პოლკის თანხლებით პილსუდსკი შევიდა ვარშავაში. მთავრობა გადადგა.

### დაწვრილებითი ცნობები გადატრიალების შესახებ

გადატრიალების შესახებ დაწვრილებითი ცნობა შემდეგია: 11 მაისს, ვარშავის ახლო მდებარე რემბერტოვის ბანაკში მივიდა პილსუდსკი თავისი ერთგული ოფიცრებით. ბანაკად მყოფ ოფიცრობის უმეტესობა მიემხრო პილსუდსკის. პილსუდსკიმ დარაზმა აქ თავისი მომხრე ჯარები და წამოვიდა ვარშავისკენ. მდინარე ვისლას ხიდზე მას დახვდა მთავრობის ჯარები. პილსუდსკიმ დაამარცხა მთავრობის ჯარები და გადავიდა მდინარეზე. ქუჩებში გაიმართა ბრძოლა. ღამის 12 საათისთვის პილსუდსკიმ დაიკავა ვარშავა.

## ამხ. სერატის გარდაცვალება

გარდაიცვალა იტალიის მუშათა კლასის ერთი გამოჩენილი მეთაურთაგანი და კომუნისტური პარტიის წევრი ამხ. სერატი.

სერატი იყო იტალიის სოციალისტური პარტიის ბელადი, მომხრე კომინტერნის, მაგრამ მე-2 კონგრესის შემდეგ არ დაემორჩილა მოთხოვნილებას რეფორმისტებზე ჩამოშორების შესახებ და შეადგინა ცენტრის ჯგუფი. კომინტერნის მეოთხე კონგრესზე მან მიიღო ვალდებულება დამორჩილებოდა კომინტერნის ყველა მოთხოვნილებებს.

ამ დროიდან გარდაცვალებამდი ის თავგამოდებით მუშაობდა კომინტერნის რიგებში.

# საბჭოთა კავშირში

## ამხ. ტარატუტას გარდაცვალება

13 მაისს მოსკოვში გარდაიცვალა საგარეო ვაჭრობის ბანკის თავმჯდომარე, ძველი ბოლშევიკი ტარატუტა.

ტარატუტა დაიბადა 1881 წელში, ელიზავეტგრადში. ჯერ კიდევ ყმაწვილობიდანვე დაიწყო მან რევოლიუციონური მოღვაწეობა. რამოდენიმეჯერ იყო გადასახლებული. 1906-7 წლებში ის მუშაობდა მოსკოვის კომიტეტის მდივნის თანამდებობაზე და სხვა.

გაგზავნილ იყო თავის დროზე პარტიის ლონდონისა და სტოკჰოლმის ყრილობაზე.

## გაფიცულთა სასარგებლოდ

ვინაიდან ინგლისის ხამთა-მადნო და ზოგიერთი სხვა დარგების მუშათა გაფიცვები გრძელდება, ცენტრალურ პროფსაბჭომ დაადგინა გაგრძელებულ იქნას შეწირულების შეკრება ინგლისის გაფიცულ მუშათა სასარგებლოდ.

შეწირულების დაგროება წარმატებით მიდის.

## სესხი სოფლის ღარიბ გლეხობას

შრომისა და თავდაცვის საბჭომ სოფლის ღარიბ მოსახლეობაზე სესხის მისაცემად დაანაწილა თანხა საკავშირო რესპუბლიკების სახოფლო სამეურნეო ბანკებ შორის. რსფსრსთვის გადადებულია 8 მილიონი 300 ათასი მანეთი, უკრაინის საბჭ. რესპუბლიკისთვის—2 მილიონი 150 ათასი მანეთი, ბელორუსიისთვის—2 მილიონი 400 ათასი მანეთი, ამიერკავკასიის რესპუბლიკებისთვის 500 ათასი, თურქმენისტანისათვის 130 ათასი მანეთი.

## წყალდიდობა ვოლგაზე

მდინარე ვოლგას დონე არა ჩვეულებრივად გაიზარდა. ყაზანში წყლით დაფარულია 51 ქუჩა. ამ რაიონებიდან დროებით გასახლებულია 10.000 კაცი.

განაპირა ადგილებში წალეკილია რამოდენიმე სოფელი. არის ცნობები შინაურ საქონლების დაღუპვის შესახებ.

# საქართველოში.

## ტყის დღე თელავის მაზრაში

ტყის დღე ჩატარებულ იქნება 18 თემში. ჩატარებულ იქნება ახსნითი კამპანია ტყის მნიშვნელობის შესახებ და სხვა. იწარმოებს აგრეთვე შემოზღუდვა და გაწმენდა ტყეების, ტყის მდინარეების ნაპირების გამაგრება და სხვა. ყველა თემებში შექმნილ იქნება ტყის მეგობართა საზოგადოებები და სხვა.

## ბამბის თესლი

ქუთაისის ბამბის ქარხანამ გააგზავნა ტბილისში 4 ვაგონი ბამბის თესლი.

### ქუთაისის ელექტრო-სადგურის გადიდება

ქუთაისის აღმასკომი ღებულობს ტფილისის აღმოსკომისაგან ელექტრო-მანქანებს. ამ მანქანების მიღებით ქუთაისის ელექტრო-სადგურის ძალა საგრძნობლად გაიზრდება.

## ჩვენი ხარჯები თავდაცვისათვის.

მიმდინარე წელში სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვის თანახმად განზრახულია გადადებული იქნეს ქვეყნის თავდაცვის საქმისათვის 635 მილიონი და 480 ათასი მანეთი. გასულ წელში ჩვენი ხარჯები რესპუბლიკის არმიაზე უდრიდა 459 მილიონ მანეთს. ამნაირად არმიაზე გაწეული ხარჯები საგრძნობლად გაიზარდა გასულ წელთან შედარებით. მაგრამ ქვეყნის თავდაცვისათვის ხარჯების გაზრდა გამოიწვია საერთოდ სახელმწიფო ბიუჯეტის გაზრდამ 1922—3 წ.წ. ქვეყნის თავდაცვის საქმისთვის გაწეული ხარჯები შეადგენდენ საერთო სახელმწიფო ხარჯების $18^1/_2$ პროცენტს. 1924—25 წლებში—16 და ორი მეათედ პროცენტს. ხოლო მიმდინარე წელში (25—26) არმიაზე გაწეული ხარჯები შეადგენს 15 და ცხრა მეათედ პროცენტს.

თუ შევადარებთ ჩვენს ხარჯებს და მეფის დროის ხარჯებს ქვეყნის თავდაცვის საქმისათვის, განსხვავება დიდია. 1913 წ. სამხედრო ხარჯების რაოდენობა რუსეთში უდრიდა 1 მილიარდ და 950 მილიონ ჩერვონეცის მანეთს. ამნაირად საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი თავდაცვის საქმეს ფაქტიურად სამჯერ უფრო ნაკლებს ახმარს, ვინემ მეფის რუსეთი ახმარდა ამ საქმეს.

საჭიროა მხედველობაში იქნეს აგრეთვე მიღებული ერთი საყურადღებო მდგომარეობაც: გამოყოფილი 635 მილიონი მანეთი არ იხარჯება მთლიანად ქვეყნის თავდაცვის საქმეზე, სამხედრო მიზნებისათვის. სამხედრო უწყების ხარჯთაღრიცხვაში ამ თანხებიდან 14 მილიონი მანეთი გათვალისწინებულია სანიტარული განათლების საქმისთვის, ხოლო 3 მილიონი კი მრეწველობასა და მეურნეობასთან დამოკიდებულ ხარჯების დასაფარავად და სხვა.

თუ შევადარებთ კაპიტალისტური სახელმწიფოს ხარჯებს სამხედრო მიზნებისათვის, ჩვენს მიერ თავდაცვის საქმეზე გაწეულ ხარჯებს, პირველი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება მივიღოთ, რომ სამხედრო მიზნებისათვის გაწეული ხარჯები პროცენტულად თითქოს ერთნაირია. სინამდვილეში კი ეს ასე არ არის, რადგან თუ სხვა სახელმწიფოებში ხარჯების ეს პროცენტები სამხედრო მიზნებისათვის მერყეობს 15—22-მდე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ პროცენტებში შედიან მხოლოდ პირდაპირი ხარჯები არმიაზე და სრულიად არ არიან მასში შეტანილი ის თანხები, რომლებიც მიდის სამხედრო მიზნებისათვის აღებულ სესხების გასასტუმრებლად. თუ გავითვალისწინებთ პროცენტებს სესხებისათვის, რომლებსაც იხდიან კაპიტალისტური ქვეყნები, მაშინ სრულიად სხვაგვარ სურათს ვღებულობთ:

ფაქტიურად საბჭოთა ქვეყანა ერთად ერთია, რომელიც ასე ცოტა ხარჯებს ეწევა არმიისა და ქვეყნის თავდაცვის საქმეზე.

## ბამბის თესვის კამპანია

წარმატებით ვითარდება ბამბის კამპანია. დადებულია ხელშეკრულება ბამბის დათესის შესახებ 1.060 დესეტინაზე.

გლეხებს ეძლევათ წინასწარ 20 მანეთი დესეტინაზე. გრძელდება ახალ ხელშეკრულებათა დადება.

## ტფილისის დრამატიული თეატრი ქუთაისში

ტფილისის დრამატიული თეატრი უკვე შეუდგა ქათაისში წარმოდგენების მართვას.

პირველი წარმოდგენა დიდი წარმატებით ჩატარდა.

## მცირე და დიდი შესვენება ლაშქრული მოძრაობის დროს

### იზრუნე როგორც თავის, ისე სხვისი ჯანმრთელობისთვის

ყოველ 50—60 წუთში ლაშქრული მოძრაობის დროს სწარმოებს მცირე—10 წუთიანი შესვენება. თუ რომ გადასავალი უდრის არა ნაკლებ 20 კილომეტრის (კილომეტრი—დაახლოებით უდრის 1 ვერსს) მაშინ მის მეორე ნახევარში ეწყობა დიდი შესვენება—2-3-4 საათით. დიდი შესვენება მეომარმა უნდა გამოიყენოს რაც შეიძლება საუკეთესოდ.

თავი და თავი, რასაკვირველია, დასვენება და შემდეგი მოძრაობისთვის ძალ-ღონის მოკრებაა. აქ ყველა მეომრები იხსნიან იარაღს, სანივთე ბოღჩებს და მთელს საჭურველს. დიდად სასარგებლოა აგრეთვე ფეხსაცმელის გახდა, ფეხსახვევის გაშრობა და სხვა. თუ კი შესაძლებლობა არის, უნდა დაიბანო ფეხები წყლით, მაგრამ ის ძალიან ცივი არ უნდა იყოს. თუ რომ ფეხი დაშავებულია ფეხსაცმელის მიერ, უნდა მიმართო ექიმს.

ფეხზე გახდის შემდეგ უნდა დაიბანო ხელები (თუ კი წყალი მოიპოვება) სანამ ჭამას შეუდგებოდე. არას დროს ძალიან არ უნდა გაძღე. ეს იმიტომ, რომ ძალიან გაძღომის შემდეგ ძნელია სიარული; მასთან მოძრაობის დროს კუჭი ცუდად ინელებს საჭმელს. ნათქვამია: უმჯობესია ზურგით ატარო საჭმელი, ვინემ კუჭით.

როცა ცოტათი შესვენებ, უნდა წამოწვე. როცა ადამიანი წევს, გული კარგად მუშაობს, ვინაიდან სისხლი არ გროვდება ფეხებში. სისხლის მიმოქცევა ფეხებში ნორმალურად სწარმოებს და ფეხის კუნთები, მოღუნებულ სისხლის მაგივრად, ღებულობს საზრდოდ კარგსა და გაწმენდილ სისხლს.

ამიტომ ფეხი უფრო ადრე იბრუნებს თავის ძალას და მუშაობის უნარს.

მავნებელია დაწოლა, როგორც ძალიან გახურებულ, ისე ცივ, ნოტიო ნიადაგზე; თუ რომ მშრალი ადგილი არ არის ჩრდილში, უმჯობესი იქნება ჩამოჯდე გზის განაპირად.

ღამით დაბანაკების დროს მეომარს ეძლევა უფრო ხანგრძლივი დასვენება.

უნდა გასწმინდო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, დაიბანო ტანი წელს ზევით, დაიბანო ფეხები და გაჰფინო ფეხსახვევები გასაშრობად.

ამის შემდეგ შეიძლება ჭამა, რამდენიც გინდა, რათა სავსებით აღდგენილ იქნას დახარჯული ძალა. ჩვეულებრივად ღამით დასვენების ადგილზე ეწყობა რაიმე გასართობა, მაგრამ ამან დიდი დრო არ უნდა წაიღოს, რათა მეომრებმა მოასწრონ გამოძინება დილამდი.

მხოლოდ ის სამხედრო ნაწილი იქცევა წესიერად, რომელიც ღამე განათევ დასასვენებელ ადგილს სუფთად სტოვებს. დასასვენებელ ადგილზე მისვლისთანავე ამოთხრილი პატარა ორმოები წასვლისას ისევ გადაყრილ უნდა იქნას მიწით, გაწმენდილ უნდა იქნას ყოველგვარი ნაგავი და სხვა. ეს თვითეული ნაწილის პირდაპირი მოვალეობაა მოსახლეობისა და უკან მომყოლ ნაწილების წინაშე.

გაჭუჭყიანებული ნიადაგი ხშირად იწვევს დაავადებას, ხოლო დაავადებასა და ყოველგვარ გადამდებ სენს დიდი ზიანი მოაქვს ჯარისა და სახელმწიფოსთვის.

მეომართა შეგნებასა და დისციპლინაზე შეიძლება ლაპარაკი იმის მიხედვით, თუ რა მდგომარეობაშია დატოვებული ნაწილის მიერ დასვენების ადგილი.

ლ. გ.

## ფაშისტური გადატრიალება პოლონეთში.

მეტათ საყურადღებო ამბები ხდება ამ ჟამათ პოლონეთში. მარშალ პილსუდსკიმ მოახდინა ფაშისტური გადატრიალება და პოლონეთის დედაქალაქი—ვარშავა შეიარაღებული ძალებით ხელში ჩაიგდო. ამის გამო მთელ პოლონეთში და განსაკუთრებით კი ქ. ვარშავაში გამოცხადებულია სამხედრო წესები და ირგვლივ თოფის წამლის სუნი სდგას. ვინ არის მარშალ პილსუდსკი? და შემდეგ: რა იყო მთავარი მიზეზი ამ გადატრიალების? რა შედეგები მოყვება გადატრიალებას? აი ის საკითხები, რომლებიც იჭრებიან პოლონეთში მომხდარ ამბების გამო.

დავიწყოთ იქიდან თუ ვინ არის პილსუდსკი. ის არის სამხედრო პირი—ჯარების მარშალი. მას კავშირი აქვს პოლონეთის სოციალისტურ პარტიასთან. ხოლო მისი პოლიტიკურ შტაბს წარმოადგენს ეგრეთ წოდებულ „ვიზვოლენიეს“ პარტია, რომელიც ითვლება საშუალო გლეხობის პარტიათ. იგი თავიდანვე კრიტიკულათ უყურებდა პოლონეთის მთავრობის პოლიტიკას, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვიტოსი. პილსუდსკის და მისი პარტია „ვიზვოლენიე“ს კრიტიკული დამოკიდებულება ვიტოსის პოლიტიკისადმი, შეიძლება მხოლოდ იმით აიხსნას, რომ მათ სურდათ ცოტათ თუ ბევრათ დაერბილებიათ რესპუბლიკის რეჟიმი—გლეხობის და ნაციონალური უმცირესობის მიმართ. ამ ნიადაგზე არა ერთხელ ყოფილა დავა პოლონეთის სეიმში, ერთი მხრივ, პილსუდსკის პარტიასა და მეორე მხრივ, ვიტოსის მომხრეებს შორის. პილსუდსკის პარტიის თვალსაზრისით, გლეხობის, განსაკუთრებით კი მიწის საკითხის და ნაციონალურ უმცირესობის, საკითხების სათანადოთ გადაჭრა შესაძლებელს გახდის იმას, რომ პოლონეთის ბურჟუაზიას და მემამულეებს თავიდან აცდეს სოციალისტური რევოლიუციის რისხვა და მეხი.

აი რა სარჩულს უდებდა პილსუდსკის პარტია, თავის კრიტიკულ დამოკიდებულებას ვიტოსის პოლიტიკისადმი. პილსუდსკიმ გაიმარჯვა. დეპეშები გადმოგვცემენ: ვიტოსის გადადგომას და პოლონეთის პრეზიდენტის ვოიცეხოვსკის გადადგომის სურვილს. მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალური მხარეა, იმ პოლიტიკური ცვლილებებისა, რომელიც ამ ჟამათ პოლონეთში მოხდა. მთავარი საქმე უკვე შესრულებულია და ალბათ პილსუდსკი ამ მოკლე ხანში დიქტატორული უფლებებით აღიჭურვება და პოლონეთის რესპუბლიკანური რეჟიმის „დარბილებას“ შეუდგება. მაგრამ პილსუდსკის ხრიკი რესპუბლიკანური რეჟიმის „დარბილების“ შესახებ, მხოლოდ ხრიკათ დარჩება. იგი ძალაუფლების სათავეში მყოფი, არ გადაჭრის მიწის და ნაციონალური უმცირესობის საკითხს ისე, როგორც ეს მისი „იდეათა სალაროში“ ჩაწყობილი. იგი ალბათ კვლავ განიმეორებს თავის წარსულ გაკვეთილებს, რომელიც მან მოამზადა 1918 და 1919 წლებში და რომელიც უმთავრესათ გამოიხატებოდა პოლონეთის ბურჟუაზიის და მემამულეების სიცოცხლის და ქონების დაცვაში და ამ გზით სოციალისტური რევოლიუციის რისხვის თავიდან აცდენაში. მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს გარემოება დიდხანს ვერ გასტანს. პილსუდსკის რეცეპტები ვერ მოარჩენს პოლონეთის ბურჟუაზიის დაავადებულ სხეულს და ბოლოს და ბოლოს, ეს ფაშისტური გადატრიალება მოხდენილი სამხედრო პირების მიერ, სოციალისტურ რევოლიუციათ გადაიქცევა. ამ მომენტის მოსვლა არ დაიგვიანებს.

## ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

### ჩვენი კომკავშირის საქმიანობა

მე-5 ლეგიონი.

ჩვენმა ა. ლ. კ. კ. უჯრედმა ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად გააღრმავა თავისი მუშაობა, როგორც სამხედრო დისციპლინის, ისე კულტპოლიტსაგანმანათლებლო დარგში. საგრძნობი მიღწევები აქვს უჯრედს თვითეული წევრის პერსონალურად შესწავლაში და მათი ჩაბმა ყოველგვარ სააქტივო სამუშაოში. უჯრედის გავლენა უპარტიო ახალგაზრდობაზე გამოიხატებოდა მაშ შორის შემდეგი მუშაობის გატარებაში: წინასწარ სწარმოებდა უპარტიო ახალგაზრდობის შესწავლა.

მათი ღია კრებებზე დასწრებით და სხვა და სხვა პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობით შესაძლებელი გახდა მათთვის, ჩვენი კომკავშირის მიზნების და ამოცანების გაცნობა.

მათ ღია კრებებზე დასწრებამ და მიდრეკილებამ კავშირის ორგანიზაციისადმი, უჯრედს მისცა საშვალება მიეღო ასეთი ახალგაზრდები ა. ლ. კ. კ. რიგებში.

მოკლე ხნის განმავლობაში ჯგუფმა მიიღო 15 ახალგაზრდა.

ჯგუფმა მათი მიღებისთანავე მიამაგრა ისინი მომზადებულ ამხანაგებზე და ამგვარათ ისინი კიდევ უფრო ფართოდ ეცნობიან ჩვენი კავშირის ისტორიას და მისი ამოცანებს.

მ. ჭყონია.

# საბანაკოთ გასვლის წინ

## [მო]მზადებით ბანაკში გასასვლელად

1-ლი მესანგრეთა ასეული

საბანაკო სამზადისს კარგა [...]ნია შეუდგა ჩვენი ასეული, [...]რთი თვე იქნება მას შემდეგ, [...]აც გამოყოფილი იქნა ნაწი-[...]ლიდან 25 ქაცამდე და გაიგ-[...]ავნენ წინასწარ ბანაკის მოსა-[...]ყობად. შემუშავებული იქნა [...]წილისათვის საზაფხულო პე-[...]იოდში მეცადინეობისა და მუ-[...]აობის გეგმა, რომელშიდაც [...]ათვალისწინებულია სოფლის [...]ლეხებთან დამოკიდებულება [...]ა მათ შორის მუშაობა.

არავითარი დაბრკოლება ნა-წილს წინ არ გადაეღობება ამ გეგმის წარმატებით შესრულე-ბაში. ყველაფერი წინასწარ იქ-ნა გათვალისწინებული მეთაუ-რების მიერ და ისე სდგებოდა სამუშაო გეგმა.

კიდევ რამოდენიმე დღეს ჩვენი ნაწილიც მოთავსდება კა-რვებში სხვა ნაწილების გვერ-დით, რომ პრაქტიკულად შე-ვითვისოთ ყველა ის, რაც ზა-მთარში თეორიულად შევისწავ-ლეთ ყაზარმის კედლებში.

გ. გულბახიანი.

## [გ]ამოცდები კარგად მიმდინარეობს.

მე-2 მესანგრე ასეულში უკ-[...]ე დაიწყო წითელ არმიელთა [...]ამოცდები. გამოცდებს ხელმ-[...]ღვანელობს ამავე ასეულის მე-[...]აურთა შემადგენლობა. გამო-[...]ცდელ კომისიას მეტად აინ-[...]ტერესებდა წითელ არმიელთა [...]ოდნის სიმაღლის შემოწმება [...]ა გამოცდა, რის გამო ისინი [...]ითელ არმიელებს აძლევენ [...]ოველგვარ შეკითხვებს, მაგ-[...]ამ მიუხედავად ამისა წითელ [...]რმიელები მაინც სათანადო [...]ასუხს აძლევდენ.

ეს გარემოება კი იმით უნ-[...]ა აიხსნას, რომ ჩვენს ასეუ-[...]ლში მეცადინეობა კარგათ იყო დაყენებული და აგრეთვე თვით წითელ არმიელთა შორის იმ-თავითვე იყო ჩანერგილი მის წრაფვება ცოდნის შეძენისაკენ.

ამ ორი გარემოების წყა-ლობით წითელ არმიელთა ცო-დნის შეძენა სასურველ დონე-ზე იქმნა დაყენებული, რაიც გამოაშკარავა ამ ქამათ მიმდი-ნარე გამოცდებმა.

მაგრამ მომავალში ჩვენი სუ-რვილი იქნებოდა, რომ ჩვენი ასეულის წითელ არმიელებს კიდევ უფრო მეტი ცოდნა შე-ეძინოთ, მუშურ-გლეხური ხე-ლისუფლების საკეთილდღეოთ.

წით.-არმ. მ—ი.

## ბრწყინვალე შედეგები მივიღეთ

1 მესანგრეთა ასეული

უკვე დამთავრდა ასეულში [...]ითელ არმიელების გამოცდე-[...]ი პოლიტ-სამხედრო საქმეში, [...]ამაც ბრწყინვალე შედეგების [...]ანაზე დააყენა ნაწილი.

ასეულში ამ ქამად აღარ ით-[...]ლება წერა კითხვის არც ერ-[...]ი უცოდინარი. ამას გარდა [...]კმაო განვითარება მიიღეს [...]ოლიტიკურად და კულტუ-[...]ულადაც.

ამ ქამად ვახდენთ სხვა და [...]ვა წრეების გადახალისებას [...]ალი წესების მიხედვით. ამის [...]მდეგ მოლაშქრეების მთელი 100 პროც. ჩაბმული იქნება კულტურულ საქმიანობაში.

უცოდინარეობა ამ მხრივ ხელს აღარ შეგვიშლის. საამი-სოდ ყველანი შესაფერად არიან მომზადებული.

საზაფხულო—ბანაკში წარ-მოებული მუშაობა დიდი ნა-ყოფიერებით იქნება ჩატარე-ბული. ამის საწინდარია ბრწ-ყინვალეთ ჩატარებული გამო-ცდები და წითელ არმიელთა სათანადო მომზადება.

„ბინოკლი"

## [1]-ლი არტლეგიონის სკოლის ცხო-ვრებიდან.

მოუმზადებელ კურსანტებს ყურადღება უნდა მიექცეს

[...]ლეგიონის უმცროს მეთაუ-[...]თა სკოლამ კარგა ხანია დაი-[...]ყო მუშაობა. საერთოდ სკო-[...]აში ბევრი არიან კურსანტები [...]შუალო ცოდნით, მაგრამ [...]რიან აგრეთვე სუსტად მომზა-[...]ებული ამხანაგები, რომლებ-[...]ც არითმეტიკის 4 მოქმედე-[...]ც კი არ იციან.

საერთო პრეციალურ მეცა-[...]ინეობაში მათ უხდებათ მექა-[...]კურად გაიზეპირონ საგნები.

პირველ ხანებში სკოლის [...]ფროსმა შესაფერი ყურადღე-[...] მიაქცია ამ გარემოებას. უც-[...]დინარეებისაგან გამოჰყო ჯგუ-[...]ები და თავისუფალ საათებში [...]მეცადინებდენ მათ ცალკე; მა-[...]რამ ეს დიდხანს არ გაგრძელე-[...]ულა. მალე მიატოვეს მათთან [...]ეცადინეობა და ისინი ისევ [...]ერხულ მდგომარეობაში ჩა-[...]რდენ.

მართალია ზოგიერთი მათგა-ნი ემზადებიან საშუალო ცო-დნის კურსანტებთან, მაგრამ დანაკლისის შევსებას ამით მა-ინც ვერ ახერხებენ. ან როგორ უნდა დაეხმარონ ეს ამხანაგები, როდესაც დროც კი აღარ რჩე-ბათ მათ ამისთვის.

მალე დაათავებს სკოლა მე-ცადინეობას. კურსანტები უმც-როსი მეთაურების ხარისხით დაუბრუნდებიან ნაწილებს.

რომ მათ შესაფერი მომზადე-ბით დასტოვონ სკოლა, საჭი-როა სკოლის უფროსი ისევ მიიღებდეს ზომებს მათ მოსამ-ზადებლად და ერთხელ დაწყე-ბულ ჯგუფურ მეცადინეობას მათთან კვლავ განაახლებდეს. ამით საქმე აუცილებლად გა-მოკეთდება.

ფასკუნჯი.

## პოლიტიკური გამოცდები კარგათ ჩატარდა

მე 4 ლეგ. 2 ათსეული.

ათსეულში 12 მაისს დაიწ-ყო წითელ არმიელთა პოლი-ტიკური გამოცდები, რომელიც საუკეთესოდ ჩატარდა. წითელ არმიელების ფართო მასა კარგი მომზადებული აღმოჩნდა მთლი-ანად.

ყველანი საუკეთესოდ უპასუ-ხებდენ საგამოცდო კომისიას.

ამხანაგების გაბედულობამ, სიყოჩაღემ მოლოდინს გადაა-ჭარბა.

ათსეულის სამხედრო კომი-სარმა და პოლიტხელმა დიდი მადლობა გადაუხადეს მათ ასე-თი გულმოდგინეობის გამოჩე-ნისათვის და მოუწოდეს კიდევ უფრო ენერგიულად განაგრძონ თვითგანვითარების საქმე.

ვ. სულიაშვილი.

## ექსკურსია ჰაეროდრომზე

მე-2 არტლეგიონი

13 მარტს ლეგიონმა მოა-წყო ექსკურსია ტფ. ჰაერო-დრომზე. ლეგიონის მთელი შემადგენლობა სიხარულით შეეგება ამ გარემოებას.

კარგა ხანია ვაპირებდით ჰაეროდრომის და იქ მყოფ ჰა-ეროპლანების დათვალიერებას, მაგრამ აქამდე ვერ მოგვიხერ-ხებია.

დანიშნულ საათზე ლეგიონი დაიძრა და სიმღერით გაემარ-თა ნავთლუღისაკენ. იქ დაგვ-ხვდა ერთი მფრინავი, რომელ-მაც კარგად მიგვიღო. მთელი ორი საათის განმავლობაში გვ-ესაუბრა ამხანაგი. გაგვაცნო დაწვრილებით ჰაეროპლანის უმ-თავრესი ნაწილები. სხვა და სხვა სისტემის ჰაეროპლანები. შემდეგ კი პირდაპირ მის და-ნიშნულებაზე ილაპარაკა: თუ რამდენად საიმედო ძალაა ჰა-ეროპლანი ომის დროს და რის გაკეთება შეუძლია მას და მეორე მხრივ კი რას ემსახუ-რება ის მშვიდობიანობის დროს.

წითელ არმიელებმა მრავა-ლი შეკითხვები მისცეს ხელ-მძღვანელს, რომელიც ყველაზე სიამოვნებით უპასუხებდა.

ექსკურსია ძლიერ საინტე-რესო ხასიათს ატარებდა. კარ-გი იქნება ხშირად მოგვიწყო-ბდენ ასეთებს და საშვალებას მოგვცემდენ ვინახულოთ ყვე-ლა საინტერესო ადგილები და დაწესებულებები.

რ—ლი

## ამხ. ამხ. სამხკორებო, მოიწერეთ წერილები თქვენი ნაწილების ცხო-ვრებიდან.

## გავაშენეთ ბაღი.

ცხენ. ლეგიონი.

კარგა ხანია ცხენ. ლეგიო-ნის შემადგენლობამ ნაწილის კლუბთან გააშენა მოზრდილი ბაღი. მისი გაშენებისთვის წარ-მოებულ მუშაობაში ყველა დე-ბულობდა მონაწილეობას—წი-თელ არმიელიდან დაწყებული და გათავებული მეთაურებით.

ბანაკად გასვლის შემდეგ ბა-ღი დარჩა ყაზარმებში დატო-ვებული წითელ არმიელთა მზ-რუნველობის ქვეშ, რომლებიც საკუთარი თვალისჩინივით უვ-ლიან ნაწილის მშვენებას.

ყოველ საღამოობით და დი-ლაობით ვრწყავთ ყვავილებს, ხეებს, ვრგავთ ახალს და სხვა. ამხანაგები ერთმანეთს ეცილე-ბიან მუშაობაში.

სამაგიეროდ დიდ სამსახურს გვიწევს ბაღი ამ სიცხეებში. წი-თელ არმიელები თითქმის სულ იქა ვართ, ვკითხულობთ გაზე-თებს, ჟურნალებს, წიგნებს და აქვე ვაწარმოებთ სხვა და სხვა საკითხების გარშემო საუბრებს. მალე აქ დავიწყებთ პოლიტსა-ათებსაც.

ერთი სიტყვით ბაღი ჩვენი საავარაკო ადგილი იქნება ზაფ-ხულის განმავლობაში.

პ. კახიძე.

## საექიმო დახმარების საქმე

მე 5 ლეგ. მე-9 ასეულში

საერთო შეკრების დამთავ-რების შემდეგ მე-9 ასეულზე ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ მომაგრებული იქნა ექიმი დათიკო თოფურია, რომელიც სისტემატიურად დადიოდა ასე-ულის საექიმო პუნქტზე.

ხსენებული ექიმი ამჟამადაც ითვლება მე-9 ასეულში; ხში-რად შემოივლის ხოლმე ჩვენ-თან, ათვალიერებს წითელ არ-მიელების საწოლებს, ყურად-ღებას აქცევს სანიტარულ მდ-გომარეობას და ატარებს სა-ნიტ-საათს ძირედ შემადგენ-ლობასთან.

თანდათანობით დაუახლო-ვდა ჩვენი ნაწილის ცხოვრება, ახლოს იცნობს წითელ არმიე-ლთა სულისკვეთებას, რითაც მისმა მუშაობამ კარგი ნაყოფი გამოიღო სანიტარული მდგო-მარეობის დაცვის საქმეში.

ხშირად ის თავის დასვენე-ბის საათებსაც კი ახმარდა ზე-მოხსენებულ მუშაობას, რის-თვისაც მადლობის ღირსია ის. რაც შეიძლება მეტი ასეთი ამ-ხანაგები ჩვენი ჯარის რიგე-ბში.

თეთრიშვილი

## 1 ქ. დ. ქუთაისის გარნიზო-ნის უპარტიო წითელ არ-მიელთა მე-6 კონფერენცია

6 მაისის საღამოს სხდომა.

მოხსენებას მე-2 ქართულ დივიზიის საარტილერიო დივი-ზიონიდან აკეთებს ამხ. **კახნი-აშვილი.**

ის მოკლეთ ახასიათებს იმ მუშაობას, რომელსაც აწარ-მოებდა საარტილერიო დივი-ზიონი, როგორც ტერიტორია-ლური ერთეული. მთავარი მუ-შაობა გადატანილია წერტებზე, რის გამო უმრავლესი ნაწილი ძირეთ წითელარმიელებისა, მე-თაურთა და პოლიტ-შემადგენ-ლობისა იმყოფებიან წერტებზე. დიდი ყურადღება არის მიქცე-ული გასამხედროების საკითხზე. მეცადინეობა სამხედრო კუთ-ხეებში უხდებათ კვირაში ერთ-ხელ—კვირაობით. მეცადინეო-ბას აწარმოებენ კუთხეებზე მი-მაგრებული მეთაურები. ნაწილს უხდება ხშირი განწესებები, რაც აფერხებს მეცადინეობას.

მომხსენებელი ახასიათებს აგ-რეთვე დისციპლინის მდგომა-რეობას ნაწილში. ამასთანავე აღნიშნავს ნაწილის მოუწყობ-ლობას შედარებით სხვებთან. დასასრულს ამხ. კახნიაშვილი თავის მოხსენებაში აშუქებს სამხედრო და პოლიტიკურ მე-ცადინეობის მსვლელობას სა-არტილერიო დივიზიონში და გამოსთქვამს სურვილს, რომ კონფერენციის შემდეგ უფრო მტკიცეთ იქნეს კავშირი ძირი-თად და ტერიტორიალურ ნა-წილთა შორის.

**7 მაისის დილის სხდომა.**

მოხსენების ირგვლივ იხსნება კამათი, რომელშიც მონაწილე-ობა მიიღეს უმთავრესად წი-თელარმიელებმა.

ამხ. **კალანდაძე** (წარმომა-დგენელი ადგილობრივ ორგა-ნიზაციებიდან) აღნიშნავს, რომ პოლიტიკურ განყოფილების მუშაობაში დიდი ნაყოფი გა-მოიღო. მან თავის დროზე აუღო ალღო თუ როგორი სახით უნდა ეწარმოებია მუშა-ობა წითელარმიელთა შორის.

წ.-არმ. **ენუქიძე** (მესანგრე ასეულიდან). გლეხთა კომიტე-ტები იჩენენ უმოქმედობას წი-თელარმიელთა ოჯახების და-ხმარების საქმეში და არ ატა-რებენ სინამდვილეში ყველა იმ დეკრეტებს, რომლებიც ამისა-თვის არის შემოღებული.

წ.-არმ. ამხ. **ჭყონია** (მე-5 ლეგიონიდან) აღნიშნავს, რომ მე-5 ლეგიონი არ დებულობს აქტიურ მონაწილეობას კონ-ფერენციაში. მათ გამოსვლას კი ექნებოდა მნიშვნელობა, ვინაიდან კონფერენციის უმ-რავლესობა არ არის საკმაოდ გაცნობილი იმ ამოცანებს, რო-მლებიც სდგას ტერიტორია-ლურ ნაწილების წინაშე. რო-გორც სხვა ამხანაგები, ამხ. ჭყონიაც აღნიშნავს, რომ არ არის კავშირი ნაწილების შო-რის, რაც დიდ დაბრკოლებას იწვევს საერთოდ მეცადინეო-ბის მსვლელობაში.

ამხ. ზაუტაშვილი ცალკე საკავშირო ასეულის პოლიტ-ხელი აღნიშნავს, რომ—უმც-როს მეთაურებს უმთავრეს შემ-თხვევაში არ აქვს საშუალო მომზადება, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს მიზეზად სამხედრო მო-უმზადებლობისათვის. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ უმც-როსი მეთაურები ჩვენ მომზა-დებული გვყავსო.—შვებულე-ბის საკითხში ამხ. ზაუტაშვილი სთვლის საჭიროდ, რათა შვე-ბულებაში იქნენ გაშვებული მხოლოდ ის წითელ არმიელე-ბი, რომლებიც განირჩევიან თავისი პატიოსნებით, არიან მცოდნე და წესიერად ასრუ-ლებენ ყოველგვარ ბრძანებებს. წითელ არმიელთა ოჯახების დაუხმარებლობის მიზეზია, ად-გილობრივი ორგანიზაციების უცოდინარეობა არსებულ დე-ბულებების, მაგრამ არიან ისე-თებიც, რომელნიც გრძნობენ და გარკვეული არიან დეკრე-ტებში და სათანადო დახმარე-ბას უწევენ წითელ არმიელთა ოჯახებსო.

წით. არმ. ამხ. ვაშაკიძე. (დივიზიის შტაბის გუნდი)—ჩვენ ვიყავით პოლიტმეცადი-ნეობისათვის მიმაგრებული ცა-ლკე მესანგრე ასეულთან, მაგ-რამ მეცადინეობა სუსტად მიმ-დინარეობდა სხვა და სხვა მი-ზეზების გამო, რასაც უნდა მი-ექცეს ყურადღება.

კამათში მიიღეს მონაწილეო-ბა აგრეთვე შემდეგ ამხ. ამხ. ტაბატაძემ, ჯაფარიძემ, ვაჩეი-შვილმა, გაგვიშვილმა, ვაწაძემ, ტაბიძემ, კალანდაძემ და კარა-პეტიანმა.

შემდეგ კონფერენცია გადა-ვიდა საზაფხულო პერიოდის მუშაობის ამოცანებზე. მოხსე-ნება გააკეთა დივიზიის შტაბის ოპერატიულ ნაწილის უფროსს ე. კალანდაძემ.

დღეს—ამბობს ამხ. კალანდა-ძე—დიდათ არის განვითარებუ-ლი ტეხნიკა, რაც მოითხოვს ჩვენს დიდ სამხედრო მომზადე-ბას. ძველი ჯარი ვერ იყო ტე-ხნიკურ საშვალებებით უზრუ-ნველყოფილი. დღეს კი მდგო-მარეობა ბევრად შეცვლილია. იმ ორი წლის განმავლობაში. რომელიც უნდა დაჰყონ წი-თელ-არმიელებმა ჯარში, ჩვენ უნდა მივიღოთ მათგან შემდე-გი კატეგორიები ლაშქრელე-ბისა: თვით მწყობრის წითელ არმიელმა ორი წლის განმავ-ლობაში უნდა შეითვისოს ათის თავისათვის საჭირო ცოდნა. ათის თავები ორი წლის შემ-დგომ ომიანობის დროს იქნე-ბიან მწყობრის თავის თანაშე-მწეთ. უმწყობრო წითელი არ-მიელი კი ორი წლის შემდეგ უნდა იქნეს რიგის მებრძოლი წითელ-არმიელი.

ზამთრის მეცადინეობამ უნ-და მოამზადოს წითელ არმიე-ლი იმდენათ, რამდენათაც სა-ჭიროა ათის თავისათვის. სამ-ხედრო საქმე დამოკიდებულია პრაქტიკისაგან. უნდა გამოვნა-ხოთ ისეთი საშვალება, რომე-ლიც წარმოგვიდგენს ომიანო-ბის სახესა.

# მოსპეთ ნაკლულევანებანი

## ღორებმა აგვიკლეს.

ლეგიონის ეზო სულ გადაბრუნებულია ღორებისაგან. აუარება ზარალს გვაყენებენ. ხშირად შამოგვიცვივიან შენობაშიც და ერთი აურზაური არის საჭირო, რომ როგორმე გამოვრეკოთ გარეთ. ეზოში ველარ გაგვივლია შიშით. გამოგვეკიდებიან და პირდაპირ ფეხებს გვჭამენ.

დროა სათანადო ზომები მიიღოს კომენდანტმა და მოგვაცილოს თავიდან ღორები.

ცეცხლი.

## გააუმჯობესეთ ქაში.

მე-6 ლეგიონის უმცროს მეთაურთა სკოლის კურსანტებს ეს ერთი ხანია ურიგდებათ შავი ქაში. ვერც ერთი წითელ არმიელი ვერ სჭამს მას. ძლიერ ცუდი გემო აქვს. გაკეთებული ქაში მიაქვთ საქონლისათვის ბავშვებს და ქალებს, წითელ არმიელები კი მშიერი რჩებიან.

საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს სამნეო ნაწილმა და დაუყონებლივ გააუმჯობესოს ქაში.

წ. არმ. ომერი.

## მოგვეცით კუთვნილი ტანსაცმელი.

1-ლ ლეგიონის ბატარეიაში დავრჩით 30 კაცამდე რომლებსაც არ მიგვიღია ხვედრი საზაფხულო ტანსაცმელი. დანარჩენებმა ყველამ მიიღეს. არ ვიცით რა არის მიზეზი და რად იქცევა ასე სამნეო ნაწილი. სხვებმა თუ მიიღეს ჩვენ რაღა დავაშავეთ? საზაფხულო ტანსაცმელი რომ გვეკუთვნის ამაში ეჭვი არავის შეუვა. დროა ჩვენც დაგვაკმაყოფილონ ხვედრი ტანსაცმელით.

წ. არმ. ნიკოლაიშვილი.

# ასეულის უფროსის სამნეო ფუნქციებიდან განთავისუფლება

(გაგრძელება)

ავიღოთ ახლა ფულით კმაყოფა, აქ ცოტა სხვანაირათაა საქმე. ამჟამად ასეულს ურიგდება ჯამაგირი მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს. პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ ეს ჯამაგირის დარიგება ხანდისხან გასტანს ხოლმე 6—7 დღემდის. ვიკითხოთ—შესაძლებელია, რომ ეს მუშაობა შეასრულოს ერთეულის მოლაშქრემ მარტოკა სხვის დაუხმარებლათ თუ არა? რასაკვირველია არა.

ლეგიონში არის 1000 კაცზე მეტი, ფიზიკურათ ყოვლათ შეუძლებელია, რომ ერთმა პირმა დაურიგოს ჯამაგირი 1000 კაცს. ამას გარდა წარმოვიდგინოთ მაგალითად—დანიშნულ ვადაზე რაიმე საპატიო მიზეზით ვერ მიიღო წითელ არმიელმა ჯამაგირი, მეორე დღეს მოდის იგი სამნეო დარგში, მაგრამ არაა იქ მოლარე, ის წასულია ხაზინაში. მიდის მესამედ, კიდევ არაა მოლარე. ამასობაში კი წითელ არმიელს ეკარგება დრო ამ წასვლა-მოსვლაში, ბოლოს ისევ ასეულის უფროსს უხდება საზრუნავი, რომ მისი ასეულის წითელ არმიელი როგორმე იყოს დაკმაყოფილებულ ჯამაგირით.

საერთო დასარიგებელ სიის შეედგენა, მთელ ასეულზე სამნეო დარგიდან ერთად ჯამაგირის მიღება და შემდეგ დარიგება კი, რომ ვსთქვათ, არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს ასეულის უფროსისთვის.

რაც შეეხება სანივთო საგნებით დაკმაყოფილებას მთელი ერთეულისას, ძნელი წარმოსადგენია, რომ ერთეულის მოლარე მარტოკა თვითონ გაუძღვეს ლეგიონის ნივთების შენახვას, განაწილებას და ანგარიშების წარმოებას, მით მომეტებულ, თუ რომ ვაწარმოებთ ცალკე აღნუსხვას პირველ და მეორე ვადის ტანისამოსისას.

როდესაც წითელ არმიელი გაემგზავრება ერთ დღიან შვებულებაში, ის უნდა გამოცხადდეს მოლარესთან, ჩააბაროს მეორე ვადის ან სამუშაო ტანისამოსი და სამაგიეროთ მიიღოს პირველი ვადის ტანისამოსი.

ერთი დღის შემდეგ, შვებულებიდან დაბრუნებისას, წ. ა. ჩააბარებს პირველი ვადის ტანისამოსს და ღებულობს მეორე ვადისას. უნდა ვსთქვათ რომ ამნაირ შემთხვევებში ლეგიონის მოლარეები, ასეულების მეკუჭნავეების დაუხმარებლად ვერ შეასრულებენ ყველა მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

თუ რომ გაუქმებულ იქნება ასეულის საწყობები, მაშინ ყველა ოპერაციები უნდა აწარმოოს ლეგიონის საწყობებმა, მაგრამ ამ შემთხვევაში გარდა ინდივიდუალურად ნივთების მიღებაში დაინტერესებულ პიროვნებებისა, ამ მუშაობისათვის უნდა მოვაცდინოთ საქმეს სხვა თანამდებობის პირებიც, რომლებიც გაჰყვებიან თან წითელ არმიელებს ნივთების მიღებაში დასახმარებლად და საქმის ფორმალურად ჩამოსაყალიბებლათ. ამნაირად ამ საჭიროებისთვის ასეულის უფროსს უნდა ჰყავდეს კიდევ აგენტები, რომელთაც სულ მუდამ ექნებათ დაკისრებული აღნიშნულ საქმის წარმოება, სხვანაირათ რომ ვსთქვათ უნდა დარჩეს ასეულში „მეკუჭნავე“, რადგან სხვა მეთაურის მოცდენა სამწყობრო მეცადინეობიდან არ იქნება მიზან-შეწონილი. ამიტომ სანივთო საგნებით კმაყოფის საქმისგან განთავისუფლება ასეულის უფროსისა—არაა სასურველი.

ნ. შანშიაშვილი.

(გაგრძელება იქნება)

# სამხედრო ქრონიკა

### ახალი დებულება სამხედრო დანაშაულობისათვის

ამ ჟამად უმაღლესი ორგანოები იხილავენ ახალ დებულებას სამხედრო ხასიათის დანაშაულობათა შესახებ. ახლო მომავალში მას გადასცემენ დასამტკიცებლად და ძალაში შევა არმიის რიგებში.

ახალი დებულების თანახმად მიცემული იქნებიან სამხედრო სასამართლოში ნამდვილი სამხედრო სამსახურის მოსამსახურენი (ძირედ ნაწილებში, ცვალებადელები და ჯარის გარეშე წესით მოსამსახურენი) თადარიგის—შეკრებების დროს და ომის დროს მომსახურე გუნდებში მყოფი პირები.

ახალ დებულებაში შეტანილია სადანაშაულო ქმედობა:

### დღიურ განწესებაში მყოფ პირების შეურაცყოფის შესახებ

დღიურის, მორიგის, გუშაგის, გამრინებელის შეურაცყოფისთვის—დამნაშავეებს პასუხი მოეთხოვებათ ისე, როგორც უფროსის შეურაცყოფისთვის.

წინათ თავის ნებით წასვლა 6 დღეღამის ზევით (ტერშეკრების დროს 2 დღეღამე) ან ხშირად წასვლა ითვლებოდა სამსახურიდან გაქცევათ. ამ ჟამად კი: დანაშაულობად ითვლება ნაწილიდან წასვლა თავის ნებით თუ გინდ იმ ზრახვით, რომ არ სლუდეს სამხედრო სამსახურის თავიდან აცილება.

ასეთი დაკლება ნაწილში 6 დღემდე (ტერნაწილებში 2 დღეღამე) ისჯება დისციპლინარული წესით, ხოლო შემდეგ—სასამართლოში იქნება მიცემული. თუ ნაწილიდან წასვლა მოხდება სამხედრო სამსახურის თავიდან აცილების განზრახვით ერთი საათითაც კი, დამნაშავე მიცემული იქნება სასამართლოში.

საგარნიზონო სამსახურის დარღვევისათვის სასჯელის გარდა შამოღებული იქნა აგრეთვე სასჯელი შინაწესდების დარღვევისათვის.

დამატებულია აგრეთვე მუხლი სამხედრო საიდუმლოების შესახებ და შამოღებულია სასჯელი მეთაურებზე წინასწარი განხრახვით ატესტაციის მიცემის და დაქვემდებარებულ მოსამსახურეების კანონიერი უფლებების დარღვევისათვის. ახალი დებულება მალე იქნება შამოღებული.

---

**ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“**

---

# უცხოეთის არმიებში

### პოლიტმუშაობა რუმინეთის არმიაში.

პოლიტ-აღმზრდელობითი ხასიათის მუშაობას ჯარში ჩვენი მოწინააღმდეგენიც აწარმოებენ. კერძოთ რუმინიაში ოფიცრები თავისებურ პოლიტხელმძღვანელის როლსაც ასრულებენ.

მათ ევალებათ სხვა და სხვა საუბრების ჩატარება ჯარისკაცებთან პოლიტიკურ თემებზე. ეს საუბრები უმთავრესად შემდეგი ხასიათის არიან:

— „რა ზარალი და სარგებლობა მოაქვს კომუნიზმს“, „როგორ ემზადება ომისთვის წითელი არმია“, „კომუნისტური პროპაგანდის სიცრუე“ და სხვა ასეთები.

სწარმოებს აგრეთვე საგანმანათლებლო მუშაობაც. ჯარის კაცს აგონებენ თავისი მოვალეობის წინაშე თავდადებისა და სიმტკიცის გრძნობებს. ამისათვის გამოდის სპეციალური ჟურნალი—სამხედრო ცხოვრებიდან სხვა და სხვა მოთხრობებით.

ჟურნალში თითქმის ყოველთვის არის მოთხრობილი თუ როგორ აასრულა ჯარის კაცმა თავისი მოვალეობა, არ შეუშინდა სიკვდილს, მაგრამ გაჭირვების წუთებში ის დაიხსნა ზეციერმა ძალებმა, ჯარის კაცი გადარჩა სიკვდილს და მიიღო ჯილდო.

ასეთივე შინაარსის პიესები იდგმება ჯარის ნაწილების კლუბებში. საგანმანათლებლო მუშაობაში მონაწილეობას ღებულობენ ღვდლებიც. ყველა ამის გვერდით კი რუმინეთის არმიაში საშინელი ცემა ტყეპაა. უწყალოდ სცემენ და სტანჯავენ საბრალო ჯარის კაცებს.

ალბად ესეც კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაა!

### როგორ წვრთნიან პოლონელ ჯარის კაცს.

პოლონეთის არმიაში დიდი დრო ეთმობა ჯარის კაცის კულტურულად აღზრდის საქმეს.

ყოველ ღონისძიებას ხმარობენ იმისთვის, რომ ჯარის კაცში გააღვიონ პატრიოტული გრძნობები და სამხედრო სამსახურისადმი ინტერესი.

აგიტაციას ეწევიან, ასწავლიან პოლონეთის ისტორიას და სცდილობენ პოლონეთის წარსული დიდების აღდგენას.

დიდ მონაწილეობას ღებულობენ ჯარის ასეთნაირად აღზრდის საქმეში აგრეთვე პოლონელი ღვდლები.

# მეცნიერება და ტეხნიკა

### ქიმია ბანკირების სამსახურში

ამერიკაში ფულით სავსე ყუთებს ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანის დროს მიმაგრებული აქვს ერთგვარი ჯოხები, რომლებიც დატენილი არიან ქიმიური—ცრემლის მომგვრელი აირებით. თავდასხმის შემთხვევაში ყუთის გადამტანი ხელს აჭერს ჯოხზე მოთავსებულ ხელის დასაჭერს, რაც იწვევს აირების განთავისუფლებას და აიძულებს თავდამსხმელებს ხელი აიღონ განზრახვაზე.

ამ საშუალებამ ვერ გაამართლა თავისი თავი. ამერიკელებმა გამოიგონეს შემდეგ მეორე.

ამ ჟამად ცრემლის მომგვრელ ნივთიერების მაგიერ ჯოხებში ათავსებენ კვამლის გამომშვებ ნივთიერებას. ჯოხებიდან გამოსული კვამლი საშვალებას იძლევა ადვილად იქნეს აღმოჩენილი თავდამსხმელი.

ამერიკაში მთელი პოლიცია შეიარაღებულია ქიმაირებით. თითეულ პოლიციელს აქვს ერთგვარი ჯოხი ცრემლის მომგვრელი აირით დატენილი, რომელსაც ხმარობენ მუშების დემონსტრანციების გასაფანტავათ.

### მოძრავი კიბე

ბერლინის ერთ-ერთ მაღაზიაში მოწყობილია მოძრავი კიბე. გარეგნულად ის მოგვაგონებს ჩვეულებრივ კიბეს—ერთი სართულიდან მეორეზე, მაგრამ მისი საფეხურები დამაგრებულია დაუსრულებელ ლენტზე, რომელიც იმყოფება მუდმივ მოძრაობაში. საკმარისია შესდგათ ფეხი ქვედა საფეხურზე, რომ სრულიად უშრომლათ მოექცეთ თავში კიბეს.

კიბის სიგანე აღწევს 1½ მეტრს. მას შეუძლია გადაიყვანოს საათში 8.000 მნახველი ერთი სართულიდან მეორეში. ეს კიბე გაცილებით უფრო ხელსაყრელია მაღალ სახლებზე მოწყობილ ჩვეულებრივ ამწევ მანქანებზე (ლიფტი), რადგან ასეთი კიბის საშვალებით მეტი ხალხის გადაყვანა შეიძლება ერთ და იმავე აღებულ დროის შუალედში და საჭიროაღარ არის მოცდა.

### უდიდესი დამბა

ამ ჟამად იაპონიაში აშენებულ უდიდეს დამბას მდინარე კიზოზე. დამბის სიმაღლე აღწევს 90 მეტრამდე. მის დასამთავრებლად საჭირო იქნება 325 ათასი კუბიკური მეტრი ტონობი.

დამბა კეთდება ისეთი საგუბრის დასამზადებლად, რომელიც მოიკავებს 900 მილიონ კუბიკურ მეტრ წყალს.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-2-რე არტ. ლეგიონის საგაუბიცო დივიზიონის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კ. პ. კანდიდატებს ამხ. ამხ. ნიკოლოზ ჭოლოკავას და ნიკოლოზ წულაიას, რომლებიც თხოულობენ კ. პ. წევრად გადარიცხვას.

ამავე ნაწილის კ. კავშირის ჯგუფში შემოტანილი აქვთ განცხადებები უპარტიო ამხანაგებს: დავით გოგოლაძეს და მწყობრის უფროსს ამხ. გიორგი ბეგთაბეგოვს, რომლებიც თხოულობენ ახ. ლ. კ. კავშირში შემოსვლას.

თუ ვიმნეს აქვს ზემო აღნიშნულ ამხანაგებზე რაიმე საწინააღმდეგო, გვაცნობეთ ერთი კვირის განმავლობაში.

კომუჯრედის ბიურო.

მე-5 ლეგ. მეცხრე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: ტერენტი ალექსანდრესძე ურთმელიძეს (კომკავშირის წევრი) და ვლადიმერ ბართლომესძე მიქაშავიძეს (კომკავშირელი) ორივე ოცმეთაურები.

ათმეთაურს: ხასან მეფრუდისძე კაკალაძეს.

თუ ვინმეს გაქვთ მათზე რაიმე უარყოფითი ხასიათის ცნობები, გთხოვთ აცნობოთ ასეულის უჯრედს ერთი კვირის განმავლობაში.

კომუჯრედის ბიურო.

# პასუხი სამხკორებს

გელბახიანს. (1-ლი მესანგრე ასეული) თქვენი წერილები: „პირველი მაისობა“ და „პოლიტგამოცდები“ არ დაიბეჭდება. პირველი ძლიერ დაგვიანებულია, ხოლო მეორის შესახებ უკვე იყო ჩვენს გაზეთში.

ბარათაშვილს. (1-ლი არტლეგიონი) წერილი „მოვალეობას შესრულება უნდა“, გადაეგზავნა ნაწილის უფროსს სათანადო ზომების მისაღებად.

რეხვიას. თქვენი ლექსი „ახალ ქვეყნისაკენ მივდივართ“, სუსტია. მოიწერეთ წერილები ნაწილის ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ.

კვაჭანტირაძეს. (3 ლეგ.) წერილი—ცუდი საქციელის შესახებ, გადაეგზავნა ლეგიონის თავს.

ნიკოლაიშვილს. კორესპონდენცია სამეულის უფროსის შესახებ, კარგი იქნება კედლის გაზეთისათვის. მიაწოდეთ ამის შესახებ ცნობა ადგილობრივ სარედაქციო კოლეგიას.

---

**დაიკარგა** მეოთხე ლეგიონის ავიაქიმის უჯრედიდან გაცემული საწევრო წიგნაკი № 156307 აკაკი პავლესძე ნაბიჭეიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.